899.962.1-03
ა-31

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ხათუნა რომანის ასული პატაშური

# ქრისტიანული მოტივები გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

**10.01.01** – ქართული ლიტერატურა

## ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
**1999**

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი
**როსტომ ჩხეიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ექსპერტი:
**გივი ლომიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ოფიციალური ოპონენტები:
**ნესტან სულავა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
**ბელა წიფურია**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

წამყვანი ორგანიზაცია:
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება: 1999 წლის "22" "ოქტომბერი"
"12" საათზე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P.10.01 C №3) სხდომაზე

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. №5

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა "19" "ოქტომბერი"

Библиотека
Тбилисского гос. педа-
гогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ამირან არაბული)



## ნაშრომის საერთო დახასიათება

<u>თემის აქტუალობა</u>. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ქრისტიანული მოტივების კვლევა რომ მეტად მნიშვნელოვანი საკითხია გალაკტიონის პოეტურ სამყაროსთან მისაახლოებლად, ამაში მისი ნებისმიერი კრებულის თვალის გადავლებაც დაგვარწმუნებს.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია გვაოცებს არა მხოლოდ მეტაფორული სიახლე - ბრწყინვალებით, არამედ მარადისობის განცდის ტრაგიკული სიმძაფრითა და რელიგიურ ტერმინთა სიუხვით.

დიდი ხნის მანძილზე, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია და, საერთოდ, ქართული ლიტერატურა ბიბლიისგან მოწყვეტილად განიხილებოდა, თუმცა ამით თვით ქართული მწერლობის „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა" (რ.თვარაძე) არ დარღვეულა. მთლიანობა, რომლის საფუძველიცა და პირველწყაროც ბიბლია იყო ოდითგან.

-1785-

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ქრისტიანულ მოტივთა კვლევა და ამ თვალსაზრისით ლექსთა მხატვრული ანალიზი ნათელს ჰფენს გალაკტიონის სულიერი ტრაგიზმის არსებით მიზეზს.

პოეტის მხატვრული მემკვიდრეობის კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის სარწმუნოებრივი მრწამსის გარკვევას და გათვალისწინებას.

პოეტის მრავალფეროვანი შემოქმედების სრულყოფილად შესწავლისათვის მნიშვნელოვანია ქრისტიანულ მოტივთა შესწავლა.

<u>გამოკვლევის მიზანი და ამოცანები</u>. ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ქრისტიანული მოტივები.

გალაკტიონის პოეზიაში ავტორის რელიგიური მსოფლმხედველობის გაანალიზება, ხელს შეუწყობს ქართული მწერლობის „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობის" უფრო სრულყოფილ გააზრებას, აგრეთვე, პოეტის სულიერი სინამდვილის შეულამაზებელი სურათის წარმოჩენას.

ნაშრომის მიზანია, აგრეთვე, ქრისტიანულ სწავლებათა ფონზე გალაკტიონის პიროვნული თუ შემოქმედებითი ტრაგიზმის უმთავრეს მიზეზთა კვლევა, რაც გადაჯაჭვულია ქვეყნის და ერის ტრაგიკული ყოფის გააზრებასთან, ეროვნული სატკივარის გაცნობიერებასთან, რასაც იგი უნატიფეს სახე-სიმბოლოებში წარმოაჩენდა. ამ პოეტურ სახეებში ირეკლება პოეტის სულიერი სამყარო და ის ზნეობრივი იდეა-